



N 03/645
30/06/2017

645-03-2-201706301732



www.factcheck.ge-ს რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში
შემოსულ www.factcheck.ge-ის 2017 წლის 19 ივნისის N502/03 მომართვის პასუხად
გაცნობებთ შემდეგს:

წერილის პირველი, მე-2 და მე-3 კითხვებთან დაკავშირებით გაცნობებთ,
რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამები
განხორციელდა და მიმდინარეობს დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო და
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, მათ
შორის:

2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით აჭარაში მიმდინარეობდა **ENPARD აჭარა**
- ს პროგრამის 1-ლი ფაზა, რაც სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად
ითვალისწინებდა აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების
მხარდაჭერას. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი იყო **UNDP** -
წარმომადგენლობა აჭარის რეგიონში, ევროკავშირისა და აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ფინანსური მხარდაჭერით. **ENPARD აჭარა**-ს პროგრამის
ფარგლებში, აჭარის რეგიონში დაფინანსდა **77** სასოფლო-სამეურნეო
კოოპერატივი. დეტალური ინფორმაცია კოოპერატივების დასახელების,
მუნიციპალიტეტის, საქმიანობის სფეროს, დაფინანსების ოდენობისა და
პროექტის ფარგლებში გადაცემული დანადგარების/აღჭურვილობის შესახებ
იხილოთ დანართ N1-ში. აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული პროგრამის
ფარგლებში არ ხდებოდა გრანტების თანხის სახით გაცემა.

რაც შეეხება მე-4 აზიარებით მოთხოვნილ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ სსიპ -
„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ 2017 წლის 21
ივნისის მონაცემებზე დაყრდნობით, აჭარის რეგიონში მოქმედებს სასოფლო-
სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე 153 კოოპერატივი, ხოლო 28
კოოპერატივს შეჩერებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი,
თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტატუსის შეჩერება არ იწვევს კოოპერატივის
საქმიანობის შეწყვეტას.

მე-5 აზიარებით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ
მას შემდეგ, რაც 2013 წლის 12 ივლისს მიღებული იქნა „სასოფლო-სამეურნეო
კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონი, **ENPARD აჭარა** - ს პროგრამის
გარდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - „სასოფლო-
სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, ა(ა)იპ - „სოფლის



მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“, აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები აქტიურად ახორციელებენ როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების, ასევე სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ სხვა პროგრამებს, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ფერმერებს, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ ხორციელდება, როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდამჭერი პროგრამები და ქვეპროგრამები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N2-ში) ასევე სხვა პროგრამები და ქვეპროგრამები, სადაც ბენეფიციართა შესარჩევ კრიტერიუმებში უპირატესობა ენიჭებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N3-ში).

რაც შეეხება 2017 წლისთვის მიმდინარე პროგრამებს, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ფერმერებს, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, გაცნობებთ, რომ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ - „აგროპროექტების მართვის ცენტრი“ ახორციელებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 2 804 340 ლარი;
- სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 2 564 957 ლარი;
- მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 1 094 160 ლარი;
- მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 364 634 ლარი;

აქვე აღსანიშნავია, რომ აგროპროექტების მართვის ცენტრის ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიციართა შესარჩევი კრიტერიუმების შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

სსიპ - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა
- მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

• მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა
(დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ სსიპ - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“-ს)

ა(ა)იპ - „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- დანერგე მომავალი
- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა
- აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა
- შეღავათიანი აგროკრედიტი
- გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

- აგროდაზღვევა
- აწარმოე საქართველოში
- სეზონური პროექტები (2014-2015წწ)

(დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ ა(ა)იპ - „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“-ს).

აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 20 მარტიდან UNDP აჭარის წარმომადგენლობამ განახორციელა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის საგრანტო მხარდაჭერის პროგრამა რომელიც სრულად დააფინანსა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 200 000 ლარს. ამ დროისათვის საგრანტო განაცხადების მიღება დასრულებულია და მიმდინარეობს განაცხადების გადარჩევა.


(დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ, მიმართოთ UNDP აჭარის წარმომადგენლობას)

მეექვსე აბზაცით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2017 წლის 21 ივნისის მონაცემებზე დაყრდნობით, აჭარის რეგიონში მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე 153 კოოპერატივი, ხოლო 28 კოოპერატივს შეჩერებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატუსის შეჩერება არ იწვევს კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტას.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე



მინისტრი